განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
29 მარტი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

10 მაისი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ღაღანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა კიკნაძე, კავკასიის უნივერსიტეტი,საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მომზადებაზე ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში პროფილით. პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ფოკუსირებულია ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის მიმართულებით ფართო ცოდნის გადაცემაზე. კერძოდ, მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ბიზნეს-პროცესების და ორგანიზაციების მართვის კონცეპტუალურ ასპექტებზე.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 8 სემესტრს. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 ECTS კრედიტი. პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსებს ეთმობა - 168 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები შეადგენს 72 კრედიტს. არჩევითი კურსების განაწილება შესაძლებელია შემდეგი სახით: 6 კრედიტი სპეციალობის არჩევითი, 66 კრედიტის დაგროვება სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგნები სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან ან აიღოს 60 კრედიტის მოცულობით ერთ-ერთი დამატებითი სპეციალობიდან: თეოლოგია, ტურიზმი, საერთაშორისო ურთიერთობები და 6 კრედიტი სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან.

სულხან საბა-ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შეიქმნა 2012 წლის 29 ოქტომბერს. ამავე წლის 11 დეკემბერს აკრედიტაციის საბჭოს № 758 გადაწყვეტილებით ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. 2018 წელს აკრედიტაციის საბჭოს 1 ივნისის №69 გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაცია. აღნიშნულ პერიოდში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები: დაიხვეწა შეფასების სისტემა, ცვლილებები განხორციელდა როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებში. მაგალითად, გაიზარდა საბაკალავრო პროექტის კრედიტების მოცულობა 6 დან 10 კრედიტამდე, ასევე დაზუსტდა შუალედური შეფასების კომპონენტის ქულები და პრეზენტაციის დეტალები. სასწავლო კურსებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები - სასწავლო კურსები ,,კალკულუსი 1“ და ,,კალკულუსი 2“ მოდიფიცირდა. სასწავლო კურსს ,,კალკულუსი 1“ განესაზღვრა სახელწოდება ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, ხოლო კურსი ,,კალკულუსი 2“ განისაზღვრა შინაარსიდან გამომდინარე როგორც ,,კალკულუსი“. იგი ისწავლება პირველ სემესტრში და წარმოადგენს წინაპირობას დისციპლინისთვის ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“. ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ წარმოადგენს წინაპირობას სასწავლო კურსისთვის ,,სტატისტიკა ბიზნესისთვის“. გარდა ამისა ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში გადაიხედა სწავლის შედეგები და შეფასების კომპონენტები, ასევე გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა (ფინანსური აღრიცხვა“, ,,საოფისე კომპიუტერული პროგრამები“, ,,კალკულუსი“, ,,კომუნიკაციის, დისკუსიის, პრეზენტაციის ტექნიკა”, ,,სტატისტიკა ბიზნესისთვის“, ,,შესავალი ბიზნეს სამართალში“). არჩევითი სასწავლო კურსი

,,საგადასახადო საქმე“ შეიცვალა ,,საგადასახადო საქმის საფუძვლებით და გადავიდა სპეციალობის სავალდებულო საგნად. არჩევითი კურსი ,,ბიზნეს სამართალი“ შეიცვალა კურსით ,,შესავალი ბიზნეს სამართალში“. საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა“ და ციფრული მარკეტინგი“. გარკვეულ სასწავლო კურსებში მოხდა შინაარსობრივი კომპონენტის დახვეწა და თემატური დაზუსტება (,,საბაკო საქმე“, ,,კორპორაციული ფინანსები“). პროგრამაში მოდიფიცირებულია საგანზე დაშვების წინაპირობებიც. პროგრამას ასევე დაემატა არჩევითი საგნები ინგლისურ ენაზე.

პროგრამის განხორციელება სრულად არის უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. სასწავლო უნივერსიტეტი ფლობს მაღალი დონის ინფრასტრუქტურას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 20 აკადემიური პერსონალი. მათ შორის 6 - პროფესორი 9 - ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი 3 ასისტენტი. სასწავლო პროცესში მოწვეული პერსონალის სტატუსით ჩართულია 22 პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქართული უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 29 მარტს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში. დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით შედგა ყველა დაგეგმილი შეხვედრა. კერძოდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ასევე, შეხვედრა შედგა კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა და ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის ფარგლებში ასევე მოხდა საბაკალავრო ნაშრომების გადახედვა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადეკვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავდეს კრედიტების მინიჭების მექანიზმები, აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტს საშუალება

მიეცემა მოახდინოს პროგრამაში შემავალი კურსების კრედიტების დიფერენცირება კურსების სპეციფიკის და შინაარსის გათვალისწინებით.

- რეკომენდებულია გადაიხედოს სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის საჭირო დრო, რომელიც გათვალისწინებულია საკონტაქტო საათებში.
- რეკომენდებულია, სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა.
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს და სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად დაკონკრეტდეს სწავლების მეთოდები და დაზუსტდეს შეფასების მეთოდები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმადობის მიზნით სასურველია სასწავლო გეგმაში გამოიყოს სასწავლო მოდულები (მაგალითად, მარკეტინგის, ფინანსების), რაც შესაძლებელია განხორციელდეს არჩევითი სასწავლო დისციპლინების ხარჯზე.
- სასურველია უნივერსიტეტმა აქტიურად იმუშაოს დამსაქმებლებთან როგორც პროგრამის სტრუქტურული და შინაარსობრივი, ასევე სტუდენტების სტაჟირების და დასაქმების მიმართულებით.
- სასურველია ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში (პროექტების მართვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა) სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის ინტეგრირდეს დისციპლინის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული პაკეტები.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან. აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2018 წლის აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში განხორციელებულია ცვლილებები: კერძოდ, გაიზარდა საბაკალავრო პროექტის კრედიტების მოცულობა 6 დან 10 კრედიტამდე. ასევე, დაზუსტდა შუალედური შეფასების კომპონენტის ქულები და პრეზენტაციის დეტალები. სასწავლო კურსებში

განხორციელდა შემდეგი ცვლილებები - სასწავლო კურსები ,,კალკულუსი 1“ და ,,კალკულუსი 2“ მოდიფიცირდა. სასწავლო კურსს ,,კალკულუსი 1“ განესაზღვრა სახელწოდება ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, ხოლო კურსი ,,კალკულუსი 2“ განისაზღვრა როგორც ,,კალკულუსი“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე. იგი ისწავლება პირველ სემესტრში და წარმოადგენს წინაპირობას დისციპლინისთვის ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“. ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ წარმოადგენს წინაპირობას სასწავლო კურსისთვის ,,სტატისტიკა ბიზნესისთვის“. გარდა ამისა ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში გადაიხედა სწავლის შედეგები და შეფასების კომპონენტები, ასევე გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა (ფინანსური აღრიცხვა“, ,,საოფისე კომპიუტერული პროგრამები“, ,,კალკულუსი“, ,,კომუნიკაციის, დისკუსიის, პრეზენტაციის ტექნიკა”, ,,სტატისტიკა ბიზნესისთვის“, ,,შესავალი ბიზნეს სამართალში“). არჩევითი სასწავლო კურსი ,,საგადასახადო საქმე“ შეიცვალა ,,საგადასახადო საქმის საფუძვლებით და გადავიდა სპეციალობის სავალდებულო საგნად. არჩევითი კურსი ,,ბიზნეს სამართალი“ შეიცვალა კურსით ,,შესავალი ბიზნეს სამართალში“. საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა“ და ციფრული მარკეტინგი“. გარკვეულ სასწავლო კურსებში მოხდა შინარსობრივი კომპონენტის დახვეწა და თემატური დაზუსტება (,,საბაკო საქმე“, ,,კორპორაციული ფინანსები“). პროგრამაში მოდიფიცირებულია საგანზე დაშვების წინაპირობებიც. პროგრამას ასევე დაემატა არჩევითი საგნები ინგლისურ ენაზე.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მომზადებაზე ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში პროფილით. პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ფოკუსირებულია ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის მიმართულებით ფართო ცოდნის გადაცემაზე. კერძოდ, მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ბიზნეს-პროცესების და ორგანიზაციების მართვის კონცეპტუალურ და პრაქტიკულ ასპექტებზე. ბიზნესის საფუძვლების, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, ლიდერობის შესავალის, ოპერაციათა მენეჯმენტის, პროექტების მართვის საფუძვლების, საგადასახადო საქმის საფუძვლების, რისკების მართვის, ფინანსების საფუძვლების და სხვა დისციპლინების შესწავლით სტუდენტებს განუვითაროს რაციონალური გადაწყვეტილების მიღების, საორგანიზაციო-მმართველობითი, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო უნარები. პროგრამის დასრულების შემდგომ სტუდენტები შეძლებენ სწავლის შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურა) გაგრძელებას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელშიც მკაფიოდაა ფორმულირებული პრიორიტეტები, რომლის მიზანს წარმოადგენს პროგრამების განხორციელებით საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული თანამედროვე ხარისხიანი ცოდნის გავრცელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; o შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მისია; o ინტერვიუ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასთან; o ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან;

- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდი www.sabauni.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები დეტალურად აღწერს იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს რასაც პროგრამის კურსდამდავრებული შეიძენს პროგრამის დასრულების შედეგად. პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელი სასწავლო დისციპლინები. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს ბიზნესის მართვის საბაზისო უნარების პრაქტიკაში გამოყენებას, ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე პროცესების შეფასებას. ასევე, რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას და ცვალებად გარემოში სამოქმედო სტრატეგიების და ხედვების ჩამოყალიბებას. პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, ინფორმაციის დამუშავების უნარების განვითარებაზე. ბაკალავრის პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა და საბაკალავრო პროექტის

შესრულება. დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით. ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს 1. საგანმანათლებლო პროგრამების, 2, სამეცნიერო საქმიანობის, 3. სასწავლო პროცესის, 4. აკადემიური პერსონალის, 5. სწავლის შედეგების ხარისხს. უნივერსიტეტი ახდენს რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, რომელიც ხორციელდება წინასწარ შედგენილი კითხვარების საშუალებით. შედეგების აღრიცხვაში აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის თითოეულ შედეგს დადგენილი აქვს სამიზნე ნიშნულები. სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად წელიწადში ერთხელ მზადდება სწავლის შედეგების მიღწევის ანგარიში, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელს. სწავლის შედეგების შეფასების გათვალისწინებით ხდება პროგრამასთან დაკავშირებული საჭირო ცვლილებები. შეფასების შედეგების გათვალისწინება დასტურდება ინტერვიუების საფუძველზეც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა; o ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება; o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; o ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან; o პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების საფუძველზე. რომელიც ითვალისწინებს აბიტურიენტების მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებით ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის და რექტორის ბრძანების საფუძველზე. ბიზნესის ადმინისტრიტების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით წელიწადში ორჯერ. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია პროგრამების კატალოგი, სადაც ყველასთვის საჯაროდ და ხელმისაწვდომად არის წარმოდგენილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; o ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის

ხელმძღვანელთან; o სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდი **www.sabauni.edu.ge**
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით (რექტორის № 55-18 ბრძანება, დამტკიცებულია 2018 წელს.) პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, პროგრამის მოცულობა და შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. პროგრამის კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 240 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს 8 სემესტრში. კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: ძირითადი სასწავლო კურსები - 168 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსები 72 კრედიტის მოცულობით. არჩევითი კურსების განაწილება სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა კომბინაციით მისი სურვილის მიხედვით: 6 კრედიტი სპეციალობის არჩევითი, 60 კრედიტი დამატებითი სპეციალობა და 6 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი ან 6 კრედიტი სპეციალობის არჩევითი და 66 კრედიტი სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან. პროგრამა მოიცავს

პრაქტიკის კომპონენტს - 8 კრედიტი. რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე, პრაქტიკა მისი შინაარსობრივი კომპონენტებიდან გამომდინარე ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ძირითადი ბადის მიხედვით სტუდენტებმა უნდა იმუშაონ საბაკალავრო პროექტზე რომლისთვისაც განკუთვნილია - 10 კრედიტი. საბაკალავრო პროექტის საშუალებით უნდა გამოვლინდეს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული სტუდენტის ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა. მთლიანობაში პროგრამის შინაარსობრივი კომპონენტები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრობა და სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურადაა განსაზღვრული. სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს პროცესში დაინტერესებულმა მხარეებმა: აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, დაადასტურეს პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; o ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; o ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმადობის მიზნით სასურველია სასწავლო გეგმაში გამოიყოს სასწავლო მოდულები (მაგალითად, მარკეტინგის, ფინანსების), რაც შესაძლებელია განხორციელდეს არჩევითი სასწავლო დისციპლინების ხარჯზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამაში მოდიფიცირებულია საგანზე დაშვების წინაპირობა. გარდა ამისა ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში გადაიხედა სწავლის შედეგები და შეფასების კომპონენტები, ასევე გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა (ფინანსური აღრიცხვა“, ,,საოფისე კომპიუტერული პროგრამები“, ,,კალკულუსი“, ,,კომუნიკაციის, დისკუსიის, პრეზენტაციის ტექნიკა”, ,,სტატისტიკა ბიზნესისთვის“, ,,შესავალი ბიზნეს სამართალში“).
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსის კრედიტის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში სასწავლო კურსები ძირითადად განსაზღვრულია 6 კრედიტის მოცულობით, რაც გარკვეულწილად ახდენს პროგრამაში კრედიტების განაწილების უნიფიცირებას. ჩვენი აზრით აუცილებელია მოხდეს სასწავლო კურსების კრედიტების დიფერენცირება სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით. ერთი და იგივე კრედიტების რაოდენობა ყველა სასწავლო პროგრამის მიმართ მიზანშეწონილი არაა. აღნიშნული საკითხის გადაჭრა შესაძლებელია სასწავლო კურსებზე კრედიტების მინიჭების შესაბამისი მექანიზმის შემუშავების გზით. გარდა ამისა, სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის საჭირო დრო გათვალისწინებულია საკონტაქტო საათებში, რაც საჭიროებს გადახედვას. ვინაიდან საკონტაქტო საათი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისათვის განსაზღვრულ დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ ფაკულტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავარებულებთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავდეს კრედიტების მინიჭების მექანიზმები, აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტს საშუალება მიეცემა მოახდინოს პროგრამაში შემავალი კურსების კრედიტების დიფერენცირება კურსების სპეციფიკის და შინაარსის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია გადაიხედოს სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის საჭირო დრო, რომელიც გათვალისწინებულია საკონტაქტო საათებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში (პროექტების მართვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა) სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის ინტეგრირდეს დისციპლინის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული პაკეტები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

სასწავლო კურსები ,,კალკულუსი 1“ და ,,კალკულუსი 2“ მოდიფიცირდა. სასწავლო კურსს ,,კალკულუსი 1“ განესაზღვრა სახელწოდება ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, ხოლო კურსი ,,კალკულუსი 2“ განისაზღვრა როგორც ,,კალკულუსი“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე. იგი ისწავლება პირველ სემესტრში და წარმოადგენს წინაპირობას დისციპლინისთვის ,,მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“. ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ წარმოადგენს წინაპირობას სასწავლო კურსისთვის ,,სტატისტიკა ბიზნესისთვის“.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია საბაკალავრო პროექტი, რომელიც კვლევითი ხასიათისაა და იგი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. პროგრამის მიხედვით საბაკალავრო პროექტის წინაპირობას წარმოადგენს I-VII სემესტრების ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები. საბაკალავრო პროექტის მომზადების და დაცვის პროცესი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა რათა შემოწმდეს საბაკალავრო პროგრამით სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მისი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. გარდა ამისა, პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება საშინაო დავალებების, შემთხვევის ანალიზის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების და სხვა პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. ბუნებრივია პრაქტიკული ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომლის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში. თუმცა პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რომ გარკვეულ ორგანიზაციებს არ გააჩნია ოფიციალურად გაფორმებული მემორანდუმი სასწავლო უნივერსიტეტთან. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, მაგალითად, სამეცნიერო კონფერენციები, ბიზნეს-კონკურსები, წარმატებულ ბიზნესმენთა მასტერკლასები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o მემორანდუმები; o თვითშეფასების ანგარიში; o ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; o ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან; o ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდენტებთან; o სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.sabauni.edu.ge;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტებში არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის სილაბუსებში განსაზღვრულია სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობებია : ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება, ინტერაქტიული სწავლება - ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზი (Case study), ანალიზი, სინთეზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი და ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დემონსტრირების, ახსნა-განმარტებითი მეთოდები. ზემოთ აღნიშნული მეთოდები აპრობირებულია მენეჯმენტის მიმართულების პროგრამის განხორციელების პროცესში. იგი შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისაღწევ სწავლის შედეგებს. თუმცა, ზოგიეთი სასწავლო კურსის სპეციფიკა საჭიროებს სწავლების კონკრეტული მეთოდის გამოყენებას. შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში მეტწილად გამჭვირვალეა და სტუდენტები იცნობენ მათ. საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს და სასწავლო

კურსების შინაარსის შესაბამისად დაკონკრეტდეს სწავლების მეთოდები და დაზუსტდეს შეფასების მეთოდები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის თითოეული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას და ემსახურება, როგორც სტუდენტის მიღწევების კონტროლს, ასევე სწავლის პროცესში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის უკუგების უზრუნველყოფას. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა მიიღწეოდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით და იყოს ასახული სწავლის შედეგების რუკაზე. შეფასების მეთოდები და ფორმები ადაპტირებულია სასწავლო კურსთან და კომპონენტთან. პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული სწავლება-სწავლის მეთოდების წილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასებას. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა. თუმცა, ვიზიტისას გამოვლინდა, რომ მათ არ აქვთ მკაფიო ინფორმაცია აღნიშნული მექანიზმის მუშაობის შესახებ. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის

სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას. დასაზუსტებელია ზოგიერთ სილაბუსში შეფასების კომპონენტები (მაგ. "კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა", "საოფისე კომპიუტერული პროგრამები", "ფინანსური აღრიცხვა", "რისკების მართვა", "მიკროეკონომიკის საფუძვლები", "მაკროეკონომიკის საფუძვლები","დარგობრივი ინგლისური ენა ბიზნესისთვის", რიგი არჩევითი კურსები). პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; o აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; o ელექტრონული პორტალი o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ში, ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტზე, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაცია. ამასთან, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ სამუშაო დღის განმავლობაში, შეუძლია მიიღონ კონსულტაცია, როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისგან სასწავლო პროცესის, საგანმანთლებლო პროგრამის და ადმინისტრაციულ საკითხების შესახებ; სტუდენტები ინფორმირებულები არიან და პროგრამის ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე - ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით; სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებში მონაწილეობის შესაძლებლობა. თუმცა, სათანადოდ არ არის გამოყენებული ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები. აკადემიური პერსონალისადმი აუცილებელი მოთხოვნაა სავალდებულო ყოველკვირეული საკონტაქტო დატვირთვის პარალელურად საკონსულტაციო საათის ჩატარება. საკონსულტაციო საათები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში. აკადემიური პერსონალი სტუდენტებთან ინდივიდუალურად მუშაობს საჭიროების შეთხვევაში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ კმაყოფილები არიან

საკონსულტაციო მომსახურებით, რომელსაც იღებენ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. უსდ ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით, ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, აუდიტორიების დატვირთვა. სასწავლო პროცესთან და საუნივერსიტეტო ღონისძიებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სასწავლო პროცესთან და ან სხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული სიახლეები სტუდენტებს ეგზავნებათ სმს შეტყობინებით და პარალელურად იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა აერთიანებს ელექტრონულ ჟურნალს, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ელექტრონულ პროგრამას, პროგრამების და სასწავლო კურსების სილაბუსების ელექტრონულ ბაზას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; o სასწავლო კურსის სილაბუსები; o სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; o აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მენეჯმენტში ახორციელებს პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. სულ აკადემიურ პერსონალის რაოდენობა შეადგენს 20, მათ შორის - პროფესორი 6, ასოცირებული პროფესორი 9, ასისტენტ პროფესორი 2, ასისტენტი 3. აფილირებული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 13, აფილირებული პროფესორი 4, აფილირებული ასოცირებული პროფესორი 5, აფილირებული ასისტენტ პროფესორი 2, აფილირებული ასისტენტი 2. უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით აფილირებული და აკადემიური პერსონალი ახორციელებს

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. აფილირებული პერსონალისათვის სამუშაო დრო განსაზღვრულია, იგი შეადგენს კვირაში 40 საათს, რომელიც უნდა განაწილდეს როგორც სასწავლო ასევე სამეცნიერო საქმიანობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო უნივერსიტეტს პროფესორისთვის, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორისთვის, ასისტენტისთვის დადგენილი აქვს აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის სამიზნე ნიშნულები. რაც ხელს უწყობს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საქმიანობის პროდუქტიულობის ამაღლებას. სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს აკადემიური პერსონალის კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიური თანამდებობის დაკავების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს არასაუდიტორიო აქტივობების შეფასებისათვის საჭირო დროის პირობითი ერთეული. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია სწავლების და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში, იგი ახდენს პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვას და შესაბამის ჯგუფებთან მუშაობის კოორდინაციას. უნივერსიტეტის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალით, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებით. რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებლ ფუნქცია-მოვალეობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია”. o უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების/ ცალკეული პერსონალის სამუშაოს აღწერილობის შესახებ, ბრძანება N117-18 o აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება; o პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს. ამ მიზნით შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც საშუალებას იძელვა შეფასდეს პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობა. უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება სემესტრში ერთხელ. შეფასების მექანიზმებად გამოყენებულია: 1. აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება; 2. სტუდენტების მიერ ლექტორის შეფასება; 3. სტუდენტების აკადემიური მოსწრება; სასწავლო კომპონენტთან ერთად ხდება სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასებაც. უნივერსიტეტი ახდენს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებას, რომელიც ხორციელდება ,,პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემით", აღნიშნული სისტემა დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის, № 61-18 ბრძანებით.

აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით და მონაცემების გაანალიზებით ხორცილედება სპეციალური ანგარიშის მომზადება. მიღებული შედეგების გათვალისწინებით უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და შესაბამისი სამსახურები შეიმუშავებენ პერსონალის განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების, ან წახალისების ღონისძიებებს. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის წახალისებას სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, მივლინების დაფინანსების მიზნით. უნივერსიტეტი ახდენს პერსონალის მობილობას პარტნიორ უნივერსიტეტებში, რაც მნიშვნელოვანია პროფესიული საქმიანობის განვითარებისათვის, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია მობილობაში პერსონალის უფრო მეტი ჩართულობის კუთხით დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისათვის. ვიზიტის ფარგლებში ექსპერთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, რომელიც სათანადოდაა აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკით. უნივერსიტეტში არსებობს ყველა პირობა, რომელიც საჭიროა სრულყოფილი და უსაფრთხო სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკით და წიგნადი ფონდით, რომელშიც თავმოყრილია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, სალექციო კურსები და სხვა სასწავლო მასალა. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; Hein Online). უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სამუშაო სივრცე, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება; o თვითშეფასების ანგარიში; o უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2018-2019 წლის ბიუჯეტი. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი ითვალისწინებს: აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების, სახელმძღვანელოების, წიგნების, ჟურნალების და რიდერების, კონფერენცია-სემინარების ხარჯებს. ბიუჯეტში ცალკე მუხლებად არის გამოყოფილი წარმომადგენლობითი ხარჯი, მივლინებები და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას და მის სამომავლო მდგრადობას. პროგრამიდან მიღებული შემოსავლებით დასტურდება პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების მიღწევადობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; o თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ჩართულია ყველა ის ელემენტი, რომელსაც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივირებისა და კონტროლის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, აგრეთვე, ეყრდნობა იმ ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რითაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ძირითადად ჩართულია ყველა რგოლი. თითოეულ დეპარტამენტში, მათ შორის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდანაც გამოყოფილია პირი, რომელიც ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაგეგმილ აქტივობაში, რომელიც ეხება პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასებას, მონაცემების შეგროვებას და პროგრამის განვითარების გეგმების დასახვას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მუდმივი გაუმჯობესების ციკლზე - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA). ციკლის ყველა ეტაპზე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი თანამშრომლობით ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და მზადდება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. კერძოდ, იგეგმება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ვადები, განისაზღვრება ვინ მონაწილეობს შეფასების პროცესში და განისაზღვრება შეფასების კრიტერიუმები. მეორე ეტაპზე ხორციელდება დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; მესამე ეტაპზე ფასდება თითოეული კომპონენტის/მექანიზმის მუშაობის ხარისხი, ანალიზი უკეთდება ხარვეზების/ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებს და მეოთხე ეტაპზე ერთობლივად შემუშავდება მათი აღმოფხვრის მექანიზმები. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე პროგრამის თვითშფასების ჯგუფთან ინტერვიუების დროს დადასტურდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების აღნიშნული მექანიზმის არსებობა. თუმცა აკრედიტაციის ვიზიტის დროს გადამოწმებულ ზოგიერთ სილაბუსში აღმოჩნდა, რომ დასახვეწია სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდები; ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობის გააქტიურება, შესაძლოა, მათთვის ტრენინგების ჩატარება (მაგალითად, სწავლის შედგების მკაფიოდ ჩამოყალიბების და სხვ. მიმართულებით) მითითებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის და პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი

თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც გამოიყენება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გასაუმჯობესებლად და სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და დამსაქმებლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მათი არაერთი მოსაზრების გაზიარება და საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილება განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენის მიზნით შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომლის წევრები შეირჩა შესაბამისი კომპეტენციის მიხედვით და მათ შორის განაწილდა პასუხისმგებლობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; o უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები; o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; o ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან. აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება პროგრამის განვითარებისათვის იყენებს გარე შეფასების (პროგრამული აკრედიტაცია, ავტორიზაციის პროცესი) შედეგებს. პროგრამა განიცდის ცვლილებებს, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად პროგრამის შინაარსობრივ გაძლიერებაზე. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმეტების შესწავლის და ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ უნივერსიტეტი ყურადღებით ეკიდება პროგრამის გარე ხარისხის შეფასების/აკრედიტაციის ფარგლებში მიღებულ რეკომენდაციებსა და გამოთქმულ რჩევებს. სწორედ პროგრამის წინა აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების საფუძველზე მოხდა საბაკალავრო სასწავლო პროგრამის მოდიფიცირება-განახლება. პროგრამის აკრედიტაციის მიზნით 2018 წლის 29 მარტს განხორციელდა აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი უნივერსიტეტში. პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამა ოთხ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'', ხოლო ერთ სტანდარტთან მიმართებაში ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და ექსპერტთა დასკვნის გათვალისწინებით პროგრამას მიენიჭა ერთი წლით პირობითი აკრედიტაცია.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში მეტწილად გათვალისწინებულ იქნა როგორც ექსპერტთა ჯგუფის, ისე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები, ამასთან სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის ჩართულობით განხილვებისა და სამუშაო შეხვედრების შედეგად პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები.

პროგრამამ მიიღო განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ. სადაც გამოიკვეთა, რომ პროგრამის

სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონეს, დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების გამჭვირვალე და თანმიმდევრული მექანიზმი, და ასევე უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით. უსდ-მ უნდა მისცეს საშუალება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს თავიანთი მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე რეგულარულად და სრულფასოვნად შეაფასონ საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო პროცესი; სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავდა შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტის და დამსაქმებლის, აგრეთვე, კურსადმთავრებულის კითხვარი, რომელიც სტუდენტს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალებას მისცემს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. კითხვარი მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების რაოდენობის და მათი შეფარდების, ასევე დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის, კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ კითხვებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; o უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები; o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; o ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი, რის საფუძველზეც საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ხდება შესაბამისი რეკომენდაციების, შესაძლო ცვლილებების ინიცირება და დასკვნების შემუშავება. აღნიშნული პროცესის ფარგლებში რეგულარულად წარმოებს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის (მათ შორის, სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობის, რაოდენობის, სილაბუსებთან შესაბამისობის) შემოწმება; ანკეტირებული გამოკითხვა სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის უზრუნველსაყოფად; სტუდენტების და პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა; სწავლების ხარისხის გაზრდის და პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაციების და ინსტრუქციების შემუშავება; პროგრამის შემდგომი სრულყოფისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით დარგის სპეციალისტების მოსაზრებების და რეკომენდაციების შესწავლა და არსებული პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან.

სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 25 ივნისის № 62-18 ბრძანებით, გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების მექანიზმები. წესის შესაბამისად პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული. განხორციელებული შეფასების შედეგებს ეცნობა ხარისხის მართვის სამსახური, რის საფუძველზეც ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ანგარიშს. ანგარიშში გასული საანგარიშო პერიოდის და მიმდინარე წლის მონაცემების შედარების საფუძველზე ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შესაბამისი საოპერაციო გეგმის შემუშავება. წესის შესაბამისად უნივერსიტეტში განხორციელდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გასული სასწავლო წლის შეფასება და ხარისხის მართვის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ანგარიში წარდგენილ იქნა აკადემიურ საბჭოზე. მიღებული შედეგები ეცნობა საბჭოს, როგორც საბაზისო წლის მონაცემები. პროგრამის მონიტორინგის და შეფასების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს დანერგილი აქვს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვისა და მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის პრაქტიკა. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

ცვლილებები შეიძლება ეხებოდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლებას, კრედიტების რაოდენობის შეცვლას, არჩევითი სასწავლო კურსის დამატებას, სწავლების მეთოდების ან ლიტერატურის განახლებას და სხვ. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კვლევები. სტუდენტთა გამოკითხვაში მონაწილეობა აქვს მიღებული ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ოთხივე კურსის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. გამოკითხულები ადასტურებენ გამოკითხვაში მონაწილეობას მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე დამსაქმებლები არ იცნობენ საგანმანათლებლო პროგრამას სრულყოფილად. სასწავლო უნივერსიტეტს ასევე დანერგილი აქვს სტუდენტების გამოკითხვის საშუალებით სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მისი შეფასების პრაქტიკა. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება სასწავლო კურსის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ლექცია-სემინარებზე დასწრებას და შეფასებას სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სპეციალური ფორმების მიხედვით. სასწავლო დაწესებულება ახდენს ზემოთ ჩამოთვლილი გამოკითხვებისა და შეფასებების შედეგების ანალიზს და იყენებს მას პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების პროცესში განხორციელდა ქართული და უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი საბაკალავრო პროგრამების შესწავლა და ანალიზი, რის საფუძველზეც დაზუსტდა და განხორციელდა ცვლილებები კურიკულუმში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს სულხან-საბა ორბელიანის საწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გიორგი ღაღანიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



მერაბ ხოხობაია

ნიკა კიკნაძე